



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13 სექტემბერი 2024



N 513/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის პროექტსა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე რეკომენდაციების გაცემის შესახებ

2024 წლის პირველ მაისს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ რეკომენდაციების მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა (თანდართული დოკუმენტაციით), სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში და არატექნიკური რეზიუმე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის და საჯარო განხილვის შესახებ განცხადების, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება (<https://ei.gov.ge/ka/info/0d404e60-ee31-4d46-a572-ea42d603039c>), ასევე დოკუმენტაციის გაგზავნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. აღნიშნული დოკუმენტაცია, ასევე განთავსდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://www.economy.ge/?page=economy&s=185>). ამასთან საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 20 მაისის №252/ს ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საექსპერტო კომისია.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სააგენტოს მოთხოვნით (N21/7738; 24.07.2024) სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით დაევალა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ 2024 წლის 21 აგვისტოს N03/1244 განცხადებით წარმოდგენილ იქნა აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც მოიცავდა ლანდშაფტთან, გეოლოგიურ საფრთხეებთან, მონიტორინგის გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც ასევე განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. ასევე საზოგადოებას განესაზღვრა ვადა შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციაზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 3 ნოემბრის N608/ს ბრძანებით გაცემულია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, როგორც დამგეგმავი ორგანოს შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული

პროცედურებისა და დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების თაობაზე. ანგარიშში მოცემულია სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საფუძველი და მიზნები, განხორციელების არეალი, ასევე, განხილულია სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან მიმართება.

სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ტერიტორია - გურჯაანის მუნიციპალიტეტი მოიცავს ერთი ქალაქსა და ოცდაათ სოფელს. წარმოდგენილი სივრცითი მონაცემების (Shp ფაილები) მიხედვით, გეგმარებითი არეალის (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) ფართობია 79505.7 ჰა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში კერძო და საჯარო ინფრასტრუქტურა შეზღუდულია. მიზიდულობის ცენტრების თვალსაზრისით, გურჯაანის მუნიციპალიტეტში იდენტიფიცირდა: ლაკბეს წყალსაცავი, ახტალას კურორტი და ველისციხის ბაზარი, ამასთანავე, მნიშვნელოვან მიზიდულობას ქმნის საოჯახო მარნები და მცირე ღვინის საწარმოები. ლაკბეს წყალსაცავის ტერიტორიებზე შესაძლოა განვითარდეს ტურისტული მიზიდულობის ცენტრები, ველისციხის ბაზარს აქვს პოტენციური პოზიციონირდეს, როგორც რეგიონის სავაჭრო ცენტრი დამატებითი ინფრასტრუქტურით. ახტალას კურორტი წარმოადგენს გამაჯანსაღებელ და ბალნეო მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს საქართველოში, შესაბამისად, შესაძლოა განვითარდეს მნიშვნელოვანი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ცენტრი. გურჯაანის მუნიციპალიტეტის განვითარების წარმოდგენილი ხედვით, განისაზღვრა კლასტერული მიდგომა, რაც განსაზღვრავს სივრცითი განვითარების ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ მიმართულებებს ერთიანი მდგრადობის ფარგლებში.

სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, გურჯაანის მუნიციპალიტეტს კახეთის რეგიონში აქვს შესაძლებლობა იტვირთოს სატრანსპორტო ჰაბის ფუნქცია, გამომდინარე თავისი ცენტრალური მდებარეობით სხვა მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის განაშენიანების უმეტესი ნაწილი გარდა ოთხი სოფლისა სასოფლო აგლომერაციის ფარგლებში მდებარეობს (მოსახლეობის 85%).

დოკუმენტის თანახმად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის დასახლებების იერარქია და განვითარების შესაძლებლობებია:

1. ქალაქი გურჯაანი - მუნიციპალური ცენტრი. ქალაქი კურორტი;
2. სათემო სოფლები:
 - ველისციხე - ქვეცენტრი დამატებითი ფუნქციებით;
 - კაჭრეთი - ქვეცენტრი დამატებითი ფუნქციებით;
 - ბაკურციხე -სატრანსპორტო ფუნქციით;
 - ჭერემი - საინვესტიციო განვითარების პერსპექტივა ტურისტულ-კულტურული ფუნქციით.
3. სოფლები:
 - ზიარი/ქოდალო/ფხოველი - საინვესტიციო განვითარების პერსპექტივა სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტულ- რეკრეაციული ფუნქციით;
4. სტრუქტურულად და გეგმარებითად გამოკვეთილი დასახლებების "ჯაჭვი";
5. გომბორის ქედის სოფლები.

სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, გურჯაანის ურბანული განვითარება მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის კავშირების გეგმარებითი გააქტიურებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებისათვის. საჭირო კავშირებია კარდენახი - ვაჩნაძიანი და კაჭრეთი - არაშენდა - ქოდალო - ზიარი - გურჯაანი, რომელიც საჭიროებს მოწესრიგებას, განვითარებას და კეთილმოწყობას. დოკუმენტის თანახმად, მნიშვნელოვანია აღდგეს კაჭრეთი-ჭერემი-ველისციხის გზა, რომელიც პირდაპირ დააკავშირებს მუნიციპალიტეტის ორ ქვეცენტრს.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ჩქაროსნული მაგისტრალის გაყვანა კახეთში მნიშვნელოვნად შეცვლის გურჯაანის, როგორც ცენტრალური მუნიციპალიტეტის როლს კახეთის რეგიონში. ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი გზა (მკმ) გულისხმობს ახალი ლოჯისტიკური ცენტრის განვითარებას, რომელიც განსხვავებული იქნება ცნობილი პრაქტიკებისგან, რაც გულისხმობს დასახლებული პუნქტებიდან ტრანზიტის გადატანას.

გურჯაანის ტერიტორიაზე ლოჯისტიკური ჰაბის უალტერნატივო განვითარება დაკავშირებულია გურჯაანის ცენტრალურ/საკვანძო მდებარეობაზე კახეთის მხარის სხვა ქალაქებთან მიმართებაში და ასევე ახალი, საერთაშორისო მაგისტრალის გატარების შესაძლებლობაზე, რაც ასევე გულისხმობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიულ განვითარებაში ფუნქციურ-გეგმარებითი ღონისძიებების მკაფიო იერარქიის დალაგებაზე.

თბილისი - გურჯაანი(ბაკურციხე) - ლაგოდეხი - ბელაქან/ზაქათალის მაგისტრალური მიმართულება ძირითად, წამყვან ღონისძიებად, საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალად ჩამოყალიბდება. ქვეყნის ცენტრალური ღონისძიების - სივრცითი კარკასი 1-ის სტატუსს შეიძენს და კახეთის მხარეს მოუხსნის ეკონომიკურად მეტად არახელსაყრელი, ჩიხური მიმართულების სტატუსს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში რანგით მომდევნო, შიდასახელმწიფოებრივ გზას განეკუთვნება კახეთის განაშენიანების ცენტრალური ღონისძიება, გზა, რომელიც სასოფლო აგლომერაციის სახით აერთიანებს სოფლების, მათ შორის მცირე ქალაქების უწყვეტ ჯაჭვს თელავიდან კარდენახამდე. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის გურჯაანის მონაკვეთი, (ვაჩნაძიანიდან-კარდენახამდე) აერთიანებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის განაშენიანების უმეტეს ნაწილს და მოიცავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 85 %-ს.

სგმ-ის ანგარიშის თანახმად, მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოქცეული სივრცე წარმოდგენილია (ცხრილის და ოთხმხრივი მატრიცის სახით) შემდეგი ტიპის სივრცით-ტერიტორიული ელემენტებით:

სივრცითი კატეგორიები, რომელშიც ერთიანდება: - დასახლებული ტერიტორია (განაშენიანებული/ურბანიზებული), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორია, ბუნებრივი ლანდშაფტი და სხვა ტერიტორიები (სატრანსპორტო);

დაცვის ზონები და ზოლები, რომელშიც ერთიანდება: - წყლის ობიექტების დამცავი ზონები: მდინარეების წყალდაცვითი ზოლი, მაგისტრალური საინჟინრო ქსელების დაცვის ზონები: ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონები, მაგისტრალური მილსადენების (გაზი) დაცვის ზონები (დაცვის I და II, უსაფრთხოების III, საკონსულტაციო IV);

დაცული ტერიტორიების სისტემა/დაცული და სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიები, რომელშიც ერთიანდება - ყორღის აღკვეთილი, ზურმუხტის ქსელი, ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიები;

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არეალები, რომელშიც ერთიანდება - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინდივიდუალური დაცვის არეალები, კულტურული ლანდშაფტის დაცვის ზონა (სარეკომენდაციო)/ვენახებისთვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო არეალები.

სხვა ტერიტორიები, რომელშიც ერთიანდება - სახელმწიფო ტყე.

სგმ-ის ანგარიშის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ფარგლებში გეგმარებითი არეალებია: **ალაზნის ველი, სასოფლო-აგლომერაციის უწყვეტი ჯაჭვი, გომბორის ქედი, ივრის არეალი აგრარული კლასტერები, განსახლების, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი ღონისძიებები (ხაზები), ცენტრები, ქვეცენტრები, კვანძები.**

სგმ-ის ანგარიშში ცხრილის სახით წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მათ მისაღწევად დასახული ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტულ ქმედებებს დროში (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი), შემდეგი დარგების მიხედვით - გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ურბანიზაცია და ეკონომიკა. ამოცანები მოიცავს, როგორც ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნებას და მიზიდულობის ცენტრების შექმნას, ასევე ინფრასტრუქტურული გარემოს გაჯანსაღებასა და გაუმჯობესებას, გურჯაანის, როგორც რეგიონული ლოჯისტიკურ, ტექნიკური (მათ შორის აგრო, სატრანსპორტო, გადამამუშავებელი, სარეზერვო, სასაწყობო, ურბანული რეგიონული მმართველობითი ორგანოების და გურჯაანის მერიის ერთობლივი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება) და ბიზნეს პროცესების მართვის კვანძის ჩამოყალიბების ხელშეწყობას და ა.შ.

სტრატეგიული მიზანი „ინტეგრირებულად მართული მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბება“ მოიცავს შემდეგ ამოცანებს - წყლის მართვასთან დაკავშირებული პროცესებისა და ქმედებების მართვა, მყარი ნარჩენების მართვა, ტყეების მართვის ხელშეწყობა, მდგრადი ტურიზმისა და მწვანე ეკონომიკის დარგების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, დაცული ტერიტორიების, კლასტერებისა და ობიექტების მართვის ხელშეწყობა, გარემოსთან ადაპტირებული და კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება, ენერგოეფექტიანი, განახლებადი ენერჯის გამოყენებაზე ორიენტირებული ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელება, განახლებადი ენერჯის წარმოების მიმართულებების დამუშავება და პოლიტიკის განსაზღვრა, გარემოსადმი ნაკლებად მავნე აგრარული ტექნოლოგიების გამოყენება, რისკების მართვის სისტემის გაუჯობება, მუნიციპალიტეტის ბუნებრივი ღირებულებების იდენტიფიცირება და დაცვა, გარემოს დაბინძურების წყაროების გამოვლენა, დაბინძურების ხარისხის შეფასება და აღმოფხვრა, ბუნებრივი რესურსების (წყალი, ნიადაგი, ტყე) მდგრადი მართვის მიდგომების შემუშავება და დანერგვა, ფერდობების მდგრადობის გენერალური გეგმის დამუშავება, ნაპირდამცავი ღონისძიებების განხორციელების ხედვის დამუშავება, ბუნებრივ - კატასტროფული მოვლენების მართვის სისტემების ხედვის დამუშავება, ნაპირების დაცვისა და მდინარეთა კალაპოტების მართვასთან ინტეგრირებული სამშენებლო და ინერტული მასალების გამოყენება -მართვის სპეციალური ხედვის დამუშავება, ბუნებრივ - კატასტროფული მოვლენების მართვის სისტემების ხედვის დამუშავება და ა.შ. აღნიშნული ამოცანების მიღწევის მიზნით, ასევე განსაზღვრულია შესაბამისი კონკრეტული ქმედებები.

სგმ-ის დოკუმენტის თანახმად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკურორტო პოტენციალად ამჟამად **კურორტი ახტალა** განისაზღვრება. განაშენიანების გეგმის მიხედვით, ქალაქის ცენტრში არსებული ახტალის პარკის და დიდების მემორიალური პარკის რეაბილიტაციისთვის განსაზღვრულია გარკვეული ინფრასტრუქტურული ობიექტების და მათი მოწყობის სქემის დამუშავება და შედეგად პარკის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა ქალაქის ცხოვრებაში. პარკების რეკონსტრუქცია განხორციელდება თანამედროვე მიდგომებით და არქიტექტურული გადაწყვეტებით - ადაპტირება შშმ პირებისთვის; საფეხმავლო ბილიკებისა და ველობილიკების მოწყობა; მარშრუტის უზრუნველყოფა (ძირითადად შესასვლელებთან) კვების და გართობის მცირე პავილიონებით. ახტალის პარკს, ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ოთხივე მხრიდან დაემატება შესასვლელები, ხოლო ორივე პარკის ინფრასტრუქტურა გადაეხმება ერთმანეთს.

სოფ. ზიარის მიკროკლიმატი, ზიარის ტბა და მიმდებარე ლაკებს წყალსაცავი ქმნიან ერთიანი საკურორტო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული კომპლექსის განვითარების შესაძლებლობას. მიმდებარე ქედები ქმნიან შესაძლებლობას პარაპლანის სისტემის ჩამოყალიბების, ხოლო ქედებს შორის გაშლილი ველი საკემპინგე ადგილების შექმნას. ამ ადგილიდან შესაძლებელია დაინერგოს ტურისტული მარშრუტები (საფეხმავლო, საცხენოსნო, საველოსიპედო) ბოჭორმის, უჯარმის, ჭერემის, სიღნაღის და ხორნაბუჯის მიმართულებით. ადგილზე იქნა შესწავლილი სოფ. ზიარისა და მიმდებარე არაშენდას თემის სოფლების საკურორტო პოტენციალი, მათ გარშემო არსებული სხვადასხვა ტიპის და გამოყენების ტერიტორიები, შეირჩა შემდგომი სამშენებლო განვითარებისათვის მისაღები ტერიტორიები და გამოვლინდა საინვესტიციო შესაძლებლობები. აღნიშნული საკითხი, განსაკუთრებით ფუნქციონირებისა და განთავსების თვალსაზრისით, დაზუსტდება ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავების დროს შესაბამისი კონკრეტული სამომავლო პროექტების ფარგლებში.

სოფ. ვეჯინის ამჟამინდელი მდგომარეობა არ იძლევა საკურორტო მიმართულებით მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს, დამოუკიდებლად ფუნქციონირების არასაკმარისი რესურსის გამო და თვითკმარი საკურორტო პოტენციალის მქონე - ახტალის კურორტთან და სამომავლო, ზიარი-ლაკებს სპორტულ-გამაჯანსაღებელ და ტურისტულ კომპლექსთან მისი ფუნქციური და ტერიტორიული კოოპერაციის შეუძლებლობის გამო.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოიცავს ცივ-გომბორის ქედის დაბალ და საშუალომთიან ზონას და ალაზნის ველის ცენტრალურ ნაწილს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის რელიეფი შედარებით ერთგვაროვანია. აბსოლუტური სიმაღლეები 300-450-დან 850-1000 მ-მდე მერყეობს. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია ალაზნის ველისა და გომბორის ქედის დაბალმთიანი რელიეფის სახით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი უჭირავს ალაზნის აკუმულაციურ ვაკეს. ვაკის ზედაპირი ძირითადად ბრტყელია, მხოლოდ აქა-იქ არის პატარა გორაკები. მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში სუბმერიდიანულად გადაჭიმულია გომბორის დაბალმთიანი ქედი. ქედის კალთები დანაწევრებულია ხევ-ხეობებით, თითქმის ყველა ხეობა დამეწყრილია. მუნიციპალიტეტის ფარგლებში ივრის ზეგნის ზედაპირი მშრალი ხევებითა და ხრამებით დანაწევრებული ტალღოვანი ვაკეა. ზეგნის კალთები მშრალი ხევ-ხეობებით არის დანაწევრებული. მოსახლეობის წყალმომარაგებისთვის ძირითადად ზედაპირული წყლები გამოიყენება. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ფართობები ირწყვება მდინარე ალაზანიდან გამოსული მაგისტრალური არხით და მდ. იორიდან გამოსული სარწყავი სისტემებით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი განთავსებულია 9 ბალიან სეისმურ ზონაში, ხოლო ამგები გრუნტები სეისმური თვისებების მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას.

საკვლევი ტერიტორია მოქცეულია საქართველოს ბელტის არტეზიული აუზების ზონის, ალაზნის ფოროვანი, ნაპრალური, ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზების ზონაში.

სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის (გურჯაანის მუნიციპალიტეტის) გარემოს ზოგადი აღწერა, კერძოდ: დახასიათებულია მუნიციპალიტეტის ფიზიკური გარემო-პირობები, მათ შორის - კლიმატი, კლიმატის ცვლილება, გეოლოგიური პირობები/საფრთხეები, გეომორფოლოგია, ჰიდროლოგიური პირობები, რელიეფი, ჰიდროქსელი, ნიადაგები, ბუნებრივი ან/და ტექნოგენური საფრთხეები, სასარგებლო წიაღისეული, ბიომრავალფეროვნება, ბუნებრივი ღირებულებები/დაცული ტერიტორიები, შეფასებულია განახლებადი ენერჯის წყაროების პოტენციალი, აღწერილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ობიექტები.

დოკუმენტაციის თანახმად, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების კუთხით გურჯაანის მუნიციპალიტეტი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში იმყოფება, რაც განპირობებულია არსებული მეწყრული და ღვარცოფული პროცესების აქტიურობის ხარისხით.

საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარდა თანამედროვე გეოდინამიკური და ჰიდროლოგიური პროცესების საფრთხეების შეფასება და ბუნებრივი პირობების საერთო ფონის გაშუქება. დათვალიერდა საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიები, გეოლოგიური ჭრილების დასადგენად საპროექტო ტერიტორიაზე და მის გარეთ ჩატარდა არსებული ბუნებრივი და ხელოვნური გამოიშვლებების აღწერა და შესაბამისი საველე კვლევები. გარდა ამისა, შეგროვდა და დამუშავდა საარქივო, ლიტერატურული და ფონდური მასალები.

სგმ-ის დოკუმენტაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტში გავრცელებულია შემდეგი ბუნებრივი საფრთხეები: ძლიერი ქარი, თავსხმა ხასიათის წვიმა, სეტყვა, გვალვა, მდინარის ნაპირის წარეცხვა, წყალმოვარდნა, მეწყერი, ღვარცოფი. აღნიშნული საფრთხეები, დოკუმენტის თანახმად, საშიშროებას უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს მიწებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას.

მუნიციპალიტეტს აქვს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომელიც მოიცავს ხანძარს, ნაწილობრივ წყალდიდობას, გვალვას, მეწყერს და მიწისძვრას. ადგილობრივ ხელისუფლებას ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების მცირედი რესურსი აქვს: შეუძლია მძიმე ტექნიკის მობილიზება, ხევების გაწმენდა, გზების გასუფთავება, დახმარების მიღება შესაძლებელია ცენტრალური ხელისუფლებიდან. ბოლო 10 წელიწადში მუნიციპალიტეტში ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის სახით ძირითადად ხდება ნაპირდამცავი მიწყარილების მოწყობა, მდინარის კალაპოტისა და სანიაღვრე არხების გაწმენდა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დათვალიერდა და შეფასდა 7 დასახლებული პუნქტი: ქ. გურჯაანი, სოფლები კარდენახი და ვაზისუბანი, მელაანი, ველისციხე, ჭერემი, ზიარი. ამ დასახლებული პუნქტების ტერიტორიებზე საშიში გეოლოგიური პროცესების გააქტიურების ინტენსივობა საშუალო მრავალწლიურ ფონური დონის ფარგლებს არ აღემატება, თუმცა სოფლების, კარდენახის და მელაანის

ტერიტორიებზე დაფიქსირდა მეწყრული პროცესების გააქტიურება. სოფელ კარდენახში მეწყრისაგან ზიანდება საცხოვრებელი სახლები და გზა, ხოლო სოფელ მელაანში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და საშიშროება ექმნება წმინდა გიორგის სალოცავს. ქ. გურჯაანში ლოკალურ უბანზე ადგილი ჰქონდა ნაპირის გარეცხვის პროცესის საშუალო დინამიკით აქტივიზაციას. ღვარცოფული და ნაპირის გარეცხვის პროცესების დაბალი და საშუალო ინტენსივობით რეაქტივიზაციას ადგილი ჰქონდა მდ. ფაფრისხევის ხეობაში.

სგშ-ის ანგარიშში დინამიკის გასაანალიზებლად ცხრილის სახით წარმოდგენილია კახეთის მხარეში 2019-2021 წლებში გააქტიურებული ან ახლად წარმოქმნილი გეოლოგიური პროცესების და საშიშროების რისკის ზონაში მოქცეული მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ ინფორმაცია. ცხრილის სახითვეა წარმოდგენილი საშიშროების რისკის ზონებში მდებარე დასახლებული პუნქტების, ინფრასტრუქტურული ობიექტების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, საშიში გეოლოგიური პროცესების შემდგომი ზემოქმედებისგან დაცვის მიზნით გასატარებელი რეკომენდაცია/ღონისძიებები.

ტერიტორიაზე მეწყრების განვითარებას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს რთული გეოლოგიური აგებულება, რელიეფის ინტენსიური დანაწევრება, ქანების გამოფიტვა, სეისმური ძვრები, კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები და ანთროპოგენული ფაქტორი. მეწყრული სხეულები საკვლევია ტერიტორიის სხვადასხვა დახრილობის ფერდობზე, ლითოლოგიურ-გენეტიკურ კომპლექსებში, ტექტონიკურ, ჰიდროგეოლოგიურ პირობებში, კლიმატურ ზონებში, სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი, როგორც გავრცელების, ისე ფართობის, ფორმის, გადაადგილების სიჩქარის და სიმძლავრის მიხედვით, რომელთა დახასიათებაც დასახლებული პუნქტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

ქ. გურჯაანის ტერიტორია საინჟინრო-გეოდინამიკური თვალსაზრისით მეტად რთულ მდგომარეობაში იმყოფება. ქალაქის ტერიტორიაზე განვითარებულია ორი მეწყრული უბანი. I მეწყრული უბანი მდებარეობს (X-565515;Y-4621706) კურორტ ახტალას ქვაბულის სამხრეთ-დასავლეთით, ციცაბოდ დახრილ ჩრდილო-აღმოსავლური ექსპოზიციის ფერდზე და ვრცელდება წყალგამყოფის კიდიდან (ფარნავაზ მეფის ქუჩა) ახტალის ტალახიან ქვაბულამდე. სავარაუდოდ მეწყრული სხეულის ბაზისია ახტალის ქვაბულის ზედაპირი, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ აღმოსავლეთით მეწყრულ ძვრებში მონაწილეობენ ქვაბულის ამგები ნალექებიც. ამჟამად მეწყრული უბანის ფართობი დაახლოებით 8-10 ჰა-ს შეადგენს, ძველმეწყრული სხეულის კონტურში მოქცეულია “დიდების” მემორიალის ტერიტორია, გურჯაანი-თელავის საავტომობილო გზის მონაკვეთი და ფერდობის ქვედა ნაწილი გზიდან ქვაბულამდე. მეწყრული სხეულის კონტურში ფიქსირდება, როგორც წარსული დეფორმაციის ნიშნები ასევე, ახალი ნაპრალებიც “დიდების” მემორიალის მიმდებარედ. მეწყრული პროცესის გააქტიურების შემთხვევაში საფრთხე შეექმნება როგორც “დიდების” მემორიალის ტერიტორიას, ისე გურჯაანი-თელავის საავტომობილო გზას და მეწყრული უბნის მიმდებარე ტერიტორიებსაც.

II ძველმეწყრული უბანი მდებარეობს (X-565675;Y-4622010) იგივე წყალგამყოფის სამხრეთით, მდ. ახტალის ხევის მარცხენა ციცაბოდ დახრილ სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპოზიციის მქონე ფერდზე. მეწყერი მოიცავს ტერიტორიას მუნიციპალური საავადმყოფოს სამხრეთით, წყალგამყოფის სამხრეთი კიდიდან მდ. ახტალის ხევის ძირამდე, მისი ბაზისი დაკავშირებულია ხევის კალაპოტთან. მეწყრული სხეულის ზედაპირი ძლიერ სახეცვლილია მეწყრული და ანთროპოგენური (ხელოვნური) გენეზისის საფეხურებით. მეწყერი ფრონტალური ტიპისაა, მისი სიგრძე ფერდზე 150-180 მ-ია, სიგანე ძირის გასწვრივ 700 მ-მდე. მეწყრულ სხეულზე ახალი აქტივიზაციის ნიშნები არ ფიქსირდება, მაგრამ წარსულში მომხდარი მეწყრული ძვრების შედეგად დეფორმირებულია ან ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება რამდენიმე მოსახლის საცხოვრებელი სახლი და დამხმარე ნაგებობები. ფერდზე განვითარებული ძველმეწყრული სხეულის ფართობი აღემატება 10 ჰა. ფერდზე მეწყრული პროცესის მოსალოდნელი აქტივიზაციის და მისი წყალგამყოფის მიმართულებით რეგრესიული განვითარება-გაფართოების შემთხვევაში, მაღალი საშიშროების რისკის ზონაში აღმოჩნდება არამარტო მეწყერზე მცხოვრები მოსახლეობა, არამედ მისი კონტურის მიმდებარე დასახლებული უბანი და ძველი საავადმყოფო.

დოკუმენტის თანახმად, მეწყრული სხეულების ზუსტი პარამეტრების, მოძრაობის მექანიზმის, ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების, სიმძლავრის და მათი პერიოდული აქტივიზაციის გამომწვევი ფაქტორების დადგენის და პრევენციის მიზნით, აუცილებელია დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება მეწყრული უბნების და მიმდებარე ტერიტორიების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპლექსური მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება.

დოკუმენტში ასევე აღწერილია შემდეგი უბნები: სოფ. კარდენახი სოფლის და მის მიმდებარე ტერიტორიებზე უსახელო ხევის ორივე ნაპირზე განვითარებული ძველმეწყრული სხეულები. სოფ. მელაანი სოფლის სამხრეთ-დასავლეთით უსახელო ხევის წყალგამყოფის მიმდებარედ (X-565245;Y-4611820) ფიქსირდება ცოცვითი ტიპის ძველმეწყრული სხეული. მეწყრის აქტიურობის შედეგად დაზიანდა შიდასაუბნო საავტომობილო გზა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ეკლესია და სასაფლაო. მეწყრის სტაბილიზაციის მიზნით საჭიროა ზედაპირული და გრუნტის წყლების რეგულირება-დრენაჟი, ტერიტორიის ღრმა ფესვიანი ხე-მცენარეებით გატყიანება და გეოლოგიური მონიტორინგის დაწესება. სოფ. ჯიმითი სოფლის სამხრეთით მდ. ალაზნის ხევის მარჯვენა ეროზიულ-ძველმეწყრული გენეზისის ფერდობის ზედა ნაწილში (X-556805;Y-4615850) ფიქსირდება ცოცვითი ტიპის, ტალღოვან-საფეხურებრივი ზედაპირის მქონე მეწყრული სხეული. მეწყრის აქტიურობის შედეგად ზიანდება შიდასაუბნო საავტომობილო გზა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ეკლესია. პრევენციის მიზნით საჭიროა ზედაპირული წყლების რეგულირება-დრენაჟი, ბიოსაინჟინრო ღონისძიებების გატარება და გეოლოგიური მონიტორინგის დაწესება.

ზემო აღწერილი სოფლების გარდა ცალკეული მეწყრული პროცესები ფიქსირდება შემდეგ სოფლებში: ბაკურციხე, ზეგაანი, მახარაძე და ქოდალაო, ასევე გურჯაანი-ზიარის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ცალკეულ მონაკვეთებზე, რომელთა აქტიურობის შედეგად პერიოდულად ზიანდება საცხოვრებელი სახლები, საკარმიდამო ნაკვეთები, საავტომობილო გზები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული ობიექტები.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი მოიცავს მდ. ალაზნის და მდ. იორის აუზებს მათი მცირე შენაკადებით. განხორციელებული კვლევის დროს აქცენტი გაკეთდა იმ ხეობებზე, რომლებიც კვეთს დასახლებულ პუნქტებს, სოფლებს, ინფრასტრუქტურულ ობიექტებს და პოტენციურად ასათვისებელ დასახლებულ არეალებს. უშუალოდ მდ. ალაზანი და მდ. იორი დასახლებული პუნქტებისგან შორს არის, წყალდიდობების დროს მთლიანად ტბორავს ჭალებს, იშლება კალაპოტში და დასახლებულ პუნქტებს არ აყენებს ზიანს. ანგარიშში განხილულია ის ხეობები, რომლებიც პოტენციურად საფრთხეს წარმოადგენენ დასახლებული პუნქტების, სოფლებისთვის. კვლევის დასკვნით ეტაპზე განხორციელდა ჰიდროლოგიური ანალიზი და აგებულ იქნა ჰიდრაგლიკური მოდელი, რის საფუძველზეც მომზადდა დატბორვის არეალების რუკა და შეფასდა წყალდიდობის საფრთხე. საბოლოო შედეგები გაანალიზდა HEC-RAS და GIS გამოყენებით. დოკუმენტის თანახმად, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში უშუალოდ დასახლებულ პუნქტში რამდენიმე სახლი ექცევა დატბორვის ზონაში, სადაც გზას და არსებულ ინფრასტრუქტურული ობიექტის პირველ სართულებს ტბორავს წყლის თავთხელი ფენით.

კახეთის ნიადაგური საფარი, რთული რელიეფისა და კლიმატის გამო დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, მათ შორის გურჯაანის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი ნიადაგის ტიპებიდან აღსანიშნავია ალაზნის ველის მარჯვენა ნაპირის ყავისფერი, რუხი-ყავისფერი და დამლაშებული ნიადაგები. ასევე ალაზნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში განვითარებულია მდელოს ყავისფერი ნიადაგები, რომელიც ზოგან დაჭობებულია და მოითხოვს სამელიორაციო სამუშაოებს. გომბორის ქედის კალთებზე გავრცელებულია ყავისფერი და ნემომპალა- კარბონატული ნიადაგები.

კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის თვალსაზრისით კახეთის მხარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, მათ შორის, რეგიონში არსებული ტყის ეკოსისტემებზე კლიმატის ცვლილების გავლენის კუთხითაც.

სახელმწიფო ტყის ფართობი კახეთში 288,379 ჰექტარია. კახეთი ტყეების ფართობის სიდიდით მეორე რეგიონია საქართველოში, მისი ტყეები საქართველოს მთლიანი ტყეების 11% -ს შეადგენს. წარმოდგენილი ინფორმაციით, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში

განსაზღვრული 795 057 380 კვ.მ. (79 506 ჰა) ფართობიდან (Shp ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 277 665 664 კვ.მ. (27 766.5 ჰა) წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, გურჯაანის სატყეო უბნის ლელის, კალაურის, მუკუზანის, გურჯაანის, კაჭრეთისა და ბაკურციხის სატყეოებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მუნიციპალიტეტში ძლიერი ქარების მოქმედებით ხშირია დამუშავებელი ნიადაგების გამოშრობა და ჰუმუსიანი ფენის გადახვეტა. გურჯაანის მუნიციპალიტეტი განეკუთვნება I ჯგუფს, რომელშიც ქარი იწვევს ნიადაგის ზედა ფენის ახვეტას და მის ძლიერ გამოქარვას. ქარსაფარი ზოლების განადგურებამ არა მარტო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე იქონია უარყოფითი გავლენა, არამედ სავარგულების გარშემო არსებულ დასახლებულ პუნქტებზეც. ზემოაღნიშნულის გამო, დღის წესრიგში დადგა ქარსაცავი ზოლების აღდგენისა და ფრაგმენტულად დარჩენილი მასივების რეკონსტრუქციის საკითხი. კონცეფციაში ქარსაფარი ზოლების აღდგენა-გაშენება წარმოდგენილია რუკებზე პირობითად.

გურჯაანის მუნიციპალიტეტს მზის ენერჯის გამომუშავების მაღალი პოტენციალი აქვს. ქარის/მზის ენერჯის ასათვისებლად საჭიროა რამდენიმე ძირითადი ეტაპის გავლა: ადგილის შერჩევა და ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, პროექტის შემუშავება, ქარის ტურბინების/მზის პანელების შესყიდვა, ინფრასტრუქტურის მოწყობა, ქარის ტურბინების/მზის პანელების მონტაჟი, ქსელთან დაკავშირება, ტესტირება და ექსპლუატაციაში გაშვება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰიდროენერგეტიკის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები არაა, რადგან არსებულ მდინარეებს ჰიდროენერგეტიკის თვალსაზრისით ძალიან დაბალი პოტენციალი გააჩნიათ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს გააჩნია ცენტრალიზებული წყალმომარაგება; წყლის რესურსების მართვა-განკარგვაზე პასუხისმგებელია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. წყალმომარაგების სისტემით ნაწილობრივ ხდება 29 სოფლის წყლით მომარაგება. ქალაქი გურჯაანი 100% უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. წყალმომარაგების სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს 14 სოფელში. სამომავლოდ დაგეგმილია ველისციხის, ახაშენის, ზეგაანის და მუკუზანის წყალმომარაგების სისტემების მოწყობა.

ქალაქ გურჯაანის წყალარინების სისტემის ძირითადი ნაწილი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ბალანსზეა. საკანალიზაციო სისტემით დაფარულია მოსახლეობის 100%. ქალაქში წყალარინების სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაცია მოხდა წყალმომარაგების სისტემასთან ერთად, რეაბილიტაცია ძირითადად შეეხო ცენტრალურ კოლექტორებს, მოეწყო ქალაქის დარჩენილ ნაწილში, ახალი საკანალიზაციო კოლექტორები. დღეის მდგომარეობით დასრულებულია ქალაქის გამწმენდი ნაგებობის პროექტირება და იწყება მისი მშენებლობა. ქ. გურჯაანის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ გეგმავს ჩამდინარე წყლების სისტემების მშენებლობას, რომელიც ითვალისწინებს წყალარინების 250 ქსელის, მაგისტრალური კოლექტორისა და ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას.

ახალი გამწმენდი ნაგებობის განთავსება დაგეგმილია მოსახლეობისგან მოშორებით და გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება მდ. ალაზანში. გამწმენდი მოეწყო ბიოლოგიური გაწმენდის თანამედროვე პრინციპებით, რომელიც გულისხმობს ჩამდინარე წყლების გაწმენდას ანაერობული ავზებისა და ბიოლოგიური ფილტრის გამოყენებით.

29 სოფლიდან, გარდა სოფელი ველისციხის ცენტრალური ნაწილისა, სადაც მიმდინარეობს სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა და შენდება კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა, არცერთ სოფელში არ არსებობს კანალიზაციის ქსელები გამწმენდი ნაგებობებით. საჭიროა თითოეულ სოფელში მოეწყოს კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება თითოეული სოფლის მოსახლეობის რაოდენობაზე.

დოკუმენტის თანახმად, დღევანდელი მდგომარეობით, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი არის ელექტროფიცირებული და გაზიფიცირებული (გარდა ჭერემის, ზიარისა და ფხოველისა).

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია პასუხისმგებელია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვაზე, კერძოდ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე, ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე მისი ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს ა(ა)იპ „გურჯაანის დასუფთავების სამსახური“ ახორციელებს. ნარჩენების მართვის მომსახურება მიეწოდება ქალაქ გურჯაანს და მუნიციპალიტეტის 23 ტერიტორიული ერთეულის ყველა დასახლებულ პუნქტს.

სგშ-ის ანგარიშში კულტურული მემკვიდრეობის კუთხით განხილულია ძეგლები და სალოცავები, ტრადიციული საცხოვრებლები, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა (საშემსრულებლო ხელოვნება და ტრადიციული რეწვა), მუზეუმები, საარქივო მასალა, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე არქეოლოგიური ძეგლები (I. ვაჩნაძიანი, II. ზიარი-ფხოველის ზონა, III. ველისციხე, IV. მელაანი-ჩალაუზნის ზონა, V. ჯიმიტი-კაჭრეთი-სადუღას ზონა).

სგშ-ის ანგარიშში კანონით დადგენილი წესით განხილულია მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული ალტერნატივები: არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა, კონცეფციის ალტერნატივები, დარგობრივი ალტერნატივები. სგშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილია გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილების შემარბილებელი ღონისძიებები.

დამგეგმავი ორგანოს (სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო) ორგანიზებით, სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 4 ივლისს, ქალაქ გურჯაანის ტექნოპარკის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს, შპს „სტუდია 21“-ის, შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიისა და დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან სგშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა, ამასთან საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 27-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს რეკომენდაცია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის პროექტსა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიშზე.
2. სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნეს:
 - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და სტანდარტები, მათ შორის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I ან/და II დანართით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების შემთხვევაში დაცული იქნეს კოდექსის მოთხოვნები, ასევე

„ნარჩენების მართვის კოდექსის“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნები.

- კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეები და გარემოზე ზემოქმედების პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის ეროზიული პროცესების განვითარებისა და მიწების შეუქცევადი დეგრადაციის პრევენციის, სტიქიურ პროცესებზე მონიტორინგისა და სიტუაციის გართულების შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების, ზედაპირული წყლების დაბინძურების წყაროების დადგენისა და დაბინძურების აღმოფხვრის, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილებისა და თავიდან აცილების, ტყის აღდგენის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები. ამასთან, ვინაიდან გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის ტერიტორიის ნაწილი ემთხვევა ფრინველთა მნიშვნელოვან ტერიტორიას IBA Alazani Valley - GE025, ასევე ფრინველთა სპეციალურ დაცულ ტერიტორიებს SPA-2 ალაზანი აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამისი კვლევების ჩატარებისა და ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელების ეტაპზე;
 - ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ, ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტებზე (გომბორი - GE0000027 და ალაზანი - GE0000022), საქმიანობების დაგეგმვის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნეს ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასების საკითხი;
 - მწვანე ინფრასტრუქტურის მიდგომები და დაცული იქნეს ლანდშაფტის დამახასიათებელი თვისებები (ბუნებრივი, კულტურული, ისტორიული). განაშენიანების დეტალური გეგმებისთვის შემუშავდეს შესაბამისი ლანდშაფტური კვლევები.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
 4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
 5. 5 დღის ვადაში ბრძანება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფასა და ოფიციალურ ვებგვერდზე;
 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



